

იდეის ავტორი და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელგუჯა დადუნაშვილი

მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და ვებპოლიტიკა: ელგუჯა დადუნაშვილი | დავით მაკალათია

მონაწილეები: მარინე ტურაშვილი | მერი წიკლაური-ხუბუნაშვილი | დარეჯან თოლორაია | ეთერ ინწვირველი | ელენე გოგიაშვილი

კომპარატიული ნარატოლოგიის ვებპლატფორმა

შესავალი

ვებპლატფორმა წარმოადგენს საერთაშორისო ზღაპრების შესახებ მონაცემების მოპოვების, შექმნისა და მართვის ერთიან სისტემას.

ინიციატივა ეფუძნება თანამედროვე დიგიტალური ტექნოლოგიების ერაში გაჩენილ შესაძლებლობას ბოლომდე იქნას გამოყენებული ზღაპრის ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევის მეთოდის პოტენციალი.

ინოვაცია მდგომარეობს ზღაპართმცოდნეებისათვის ვირტუალური სამუშაო სივრცის შექმნაში. იგი გვევლინება, როგორც ზღაპრის ენციკლოპედიის სახით გასული საუკუნის 70-იან წლებში შექმნილი სინერგიული სქემის განვითარების ახალი ეტაპი.

ენციკლოპედიაში განვითარებული სქემის მიხედვით ზღაპრის თითოეული საერთაშორისო ტიპის „ძირითადი ფორმის“ დასადგენად გამოიყენებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან გამოგზავნილი ტექსტები და აღწერილობები, რომლებიც ენციკლოპედიის არქივში იყრიდა თავს. არქივში ტიპების მიხედვით დალაგებული მასალა იგზავნებოდა ცალკეულ ავტორებთან, რომელთაგან თითოეული თავის სტატიაში ცდილობდა დაედგინა საკვლევის ტიპის „ძირითადი ფორმა“.

ახალი სქემის მიხედის სინერგიის განვითარება ხდება არა პერიფერიიდან ცენტრში მასალის გაგზავნის საფუძველზე, არამედ ლოკალური ზღაპრების მკვლევართა სრულფასოვანი მონაწილეობით საერთაშორისო ტიპის „ძირითადი ფორმის“ დადგენის საქმეში.

იმის შესახებ თუ კონკრეტულად როგორ ფუნქციონირებს ეს სქემა, ქვემოთ დაწვრილებით იქნება მოთხრობილი.

მომხმარებელთა ჯგუფები

მონაცემთა სისტემა ვითარდება მომხმარებელთა ჯგუფების მიერ გაღებული კონტრიბუციის საფუძველზე. მომხმარებელთა ჯგუფი, როგორც წესი, წარმოადგენს ისეთ ინსტიტუციას, რომელსაც ხელი მიუწვდება ზღაპრის ლოკალური რეპერტუარის დამუშავებაზე. პროექტში ჩართულ თითოეულ ასეთ ჯგუფს აქვს თავისი სახელი და სისტემასთან წვდომის ინდივიდუალური მონაცემები. ამ მონაცემების საფუძველზე სისტემასთან დაკავშირებულ პირს მინიჭებული აქვს უფლება სრულად შეცვალოს თავისი ჯგუფის მიერ შეტანილი მასალა, მაგრამ არ შეუძლია მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელოს სხვა ჯგუფის მიერ შექმნილ მასალაში.

ლოკალური მასალის დამუშავება

მომხმარებელთა ჯგუფი ამუშავებს მხოლოდ ლოკალურ მასალას. მასალის დასამუშავებლად ჯგუფის განკარგულებაშია ზღაპრის საერთაშორისო ტიპების ინგლისურენოვან აღწერილობა. იგი ძირითადად ეთანხმება ზღაპრის ენციკლოპედიასა და აარნე-ტომსონის სამიუზეუმში მოცემულ აღწერილობას და წარმოადგენს ზღაპრის შემადგენელი თხრობითი მონადების (მოტივების) ფლექსიურ რიგს. ეს აღწერილობები შეიძლება შეიცავდეს ცალკეული თხრობითი მონადის განსხვავებულ ვარიანტებსაც.

ლოკალური მასალის დამუშავების მომენტში მომხმარებელთა ჯგუფი აფიქსირებს წარმოდგენილი მოტივებიდან ცალკეულის არსებობას მის მიერ განხილული ზღაპრის ტექსტში, რა დროსაც იგი სიაში წარმოდგენილი კონკრეტული მოტივის გასწვრივ სვამს განსახილველი ტექსტის საიდენტიფიკაციო ნომერს.

ამგვარად არამარკირებული მოტივები მიუთითებენ მათ არარსებობაზე ზღაპრის განხილულ ტექსტში.

მოტივთა რიგის ფლექსურობა უზრუნველყოფს მოცემულ რიგში ახალი ლოკალური მასალისათვის დამახასიათებელი მოტივ(ებ)ის ჩსმას.

ამგვარად, მომხმარებელთა თითოეული ჯგუფი იყენებს ტიპის აღწერილობის ერთსა და იმავე ტექსტს და აფიქსირებს ამ ტექსტის შემადგენელი თითოეული ნაწილის არსებობა/არარსებობას მის მიერ განხილული ლოკალური რეპერტუარის თითოეულ ტექსტში.

მონაცემთა ანალიზი

ზღაპრის საერთაშორისო ტიპის ამგვარად მარკირებული აღწერილობა წარმოადგენს მზა ბაზას ზღაპრის კომპარატიული ანალიზისათვის საჭირო მონაცემების მისაღებად.

მონაცემთა მიღების კონკრეტული ცდები შეიძლება გამომდინარეობდეს კომპარატიული ანალიზის შემდეგ საკვამო პრობლემებიდან:

- a) როგორ გამოიყურება განსახილველად აღებული ლოკალური ზღაპრული რეპერტუარის ტიპოლოგიური პროფილი
- b) როგორია ტიპის „ძირითადი ფორმა“ ლოკალურ რეპერტუარში და რა მიმართებას ადგენს იგი სხვა ლოკალური რეპერტუარების „ძირითად ფორმებთან“.

პასუხი აღნიშნულ კითხვებზე ეფუძნება კვანტიტატურ მონაცემებს. ასეთი შეიძლება იყოს,

- a) ტიპის შიგნით ცალკეული მოტივის გამოყენების სიხშირის ინდექსი
- b) ლოკალურ რეპერტუარში ცალკეული ტიპის (ასევე ტიპთა კომბინაციების) გამოყენების სიხშირის ინდექსი.

პლატფორმის დიზაინი

ვებპლატფორმა გარეგნულად წარმოადგენს შემდეგი ხუთი ფუნქციონალური სექტორისაგან შემდგარ ვებაპლიკაციას.

1. მართვის პანელი
2. საძიებელი
3. რეპერტუარის ტიპოლოგიური სტრუქტურის მონაცემთა ცხრილი
4. ტიპის შემადგენელ მოტივთა აღწერილობა
5. ტექსტ(ებ)ის შესახებ მონაცემთა ცხრილი.

მართვის პანელი რეგისტრირებულ მომხმარებელს სთავაზობს ფუნქციონალურ ღილაკებს „LogOut“ და „Edit Table“ და ხუთ სხვადასხვა ოფციას (ტაბ. 1). ფუნქციონალური ღილაკით „LogOut“ მომხმარებელი ასრულებს პლატფორმასთან რეგისტრირებულ რეჟიმში მუშაობას, ხოლო მეორე ღილაკით „Edit Table“ მომხმარებელს შეუძლია თავად განსაზღვროს მე-5 ფუნქციონალური სექტორში წარმოდგენილი ინფორმაციის სტრუქტურა. აღნიშნულ ღილაკზე დაწკაპუნებით გამოდის დიალოგის ფანჯარა, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა ბანკში არსებული ველების ჩამონათვალს და მათ შესარჩევად საჭირო ინსტრუმენტს. სათანადო ველების შერჩევის ან გამორიცხვის შემდეგ მომხმარებელი იმავე ფანჯარაში ააქტიურებს ღილაკს „Done“, რის შემდეგაც

მე-5 ფუნქციონალურ სექტორში მეყსეულად გამოჩნდება ჩანაწერები მონაცემთა ბაზის შერჩეული ველებიდან. სტანდარტულად გააქტიურებულია შემდეგი ველები ID, შიფრი, მთქმელის დაბადებისა და საცხოვრებელი კუთხე, სქესი, ასაკი, შენიშვნა, და ATU-ინდექსი (ტაბ. 5).

საძიებელი შედეგა შემდეგი ველებისაგან (ტაბ. 1):

1. მომხმარებელთა ჯგუფი,
2. რეპერტუარის წარმომადგენლობა,
3. ATU ინდექსი¹,
4. ტექსტის საიდენტიფიკაციო ნომერი,
5. სიტყვარი.

რეპერტუარის ტიპოლოგიური სტრუქტურის მონაცემთა ცხრილი. აღნიშნული ცხრილი შეიცავს ინფორმაციას რეპერტუარის შემადგენლობაში მოცემული ტიპის განმეორებადობის ხარისხზე. სერვერზე გაგზავნილი შეკითხვის შესაბამისად მიღებული ინფორმაცია სტანდარტულად დალაგებულია პირველი ველში წარმოდგენილი მონაცემების მზარდი მიმართულებით. ველებს შორის პრიორიტეტისა და სორტირების რიგის შესაცვლელად საკმარისია შესაბამისი ცხრილის პირველ რიგზე ორმაგი დაწკაპუნება (ტაბ. 2).

ძიების შემდეგ სტანდარტულად გააქტიურებულია ცხრილის პირველი ჩანაწერი. ერთი დაწკაპუნებით შესაძლებელია ცხრილის ნებისმიერი სხვა ჩანაწერის გააქტიურებაც (ტაბ. 2). ცხრილში ჩანაწერის გააქტიურების შედეგად აპლიკაციის მე-4 ფუნქციონალურ სექტორში გამოჩნდება შესაბამისი ATU ტიპის მოტივთა შენადგენლობა (ტაბ. 2).

ATU ტიპის შენადგენელ მოტივთა აღწერილობა. მოცემული სექტორი წარმოადგენს ATU ტიპის შენადგენელ მოტივთა ფლექსიურ სიას. იგი შეესაბამება ზღაპრის ენციკლოპედიასა და ATU კატალოგში მოცემული ტიპების აღწერილობას.

ფლექსიურობა საშუალებას იძლევა განვხორციელოთ მოტივთა სიის შემადგენელი ელემენტების გადაადგილება, მათ შორის ახალი ელემენტის ჩსმა ან რსებულია ამოღება (ტაბ. 3).

მოტივთა სიის შემადგენელი თითოეული ჩანაწერი შედგება ტექსტისა და რიცხვების განყოფილებებისაგან (ტაბ. 1). ტექსტის ნაწლში წარმოდგენილია მოტივის აღწერილობა იგლისურ და რეპერტუარის ენაზე. რიცხვების განყოფილება შეიცავს იმ ტექსტების რაოდენობრივ მონაცემებს რომლებშიც გამოყენებულია ესა თუ ის მოტივი ან ამ ტექსტების საიდენტიფიკაციო ნომრების ჩამონათვალი. სტანდარტულად ხდება საერთო რაოდენობის აღმნიშნული რიცხვის შემოთავაზება (ტაბ. 3).

ტექსტ(ებ)ის შესახებ მონაცემთა ცხრილი. ვებპლატფორმის აღნიშნულ ფუნქციონალურ სექტორში ჩანს გააქტიურებულ ტექსტთა შესახებ ბანკში არსებული მეტა- და კონტენტმონაცემები (ტაბ. 5). ცხრილში წარმოდგენილ მონაცემთა სტრუქტურა დამოკიდებულია იმაზე თუ რა ცვლილებებს შევიტანთ ცხრილის რედაქტორში, „Edit Table“-ში (ტაბ. 5).

რეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს ცხრილის იმ ჩანაწერში, რომელიც მისი ჯგუფის მასალას განეკუთვნება. ამისათვის საჭიროა სათანადო ჩანაწერზე ორმაგი

¹ The Types of International Folktales. A Classification and Bibliography Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson, by Hans-Jörg Uther, Helsinki, 2004.

დაწკაპუნება და დაწკაპუნების შედეგად გამოჩენილ რედაქტორში შესაბამისი ცვლილების განხორციელება (ტაბ. 4).

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა

მონაცემთა სისტემა შედგება შემდეგი სამ ძირითადი კომპონენტისაგან:

- a) დასკანერებული ტექსტების კორპუსი
- b) ტექსტებზე მეტა და კონტენტ ტიპის მონაცემთა ბაზა
- c) ATU ტიპის შემადგენელ მოტივთა მონაცემთა ბაზა (მათი შედგენილობა და გამოყენების სიხშირე).

ეს მონაცემები ატვირთულია ერთ სერვერზე და მასზე ზედამხედველობას ანხორციელებს IT - სპეციალისტი. ეს უკანასკნელი ახდენს ასევე მომხმარებელთა ახალი ჯგუფების რეგისტრაციას და მათზე წვდომის მონაცემების გადაცემას.

მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფისათვის პლატფორმასთან წვდომის უფლების გადაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს პლატფორმის მართვის ცენტრი, იგი განსაზღვრავს ასევე მომხმარებელთა ჯგუფის პროექტში ჩართვისათვის საჭირო პირობებს. ცენტრი ნიშნავს ცალკეული ჯგუფის ტიპების დამუშავებაზე ზედამხედველობის უფლების მქონე პირებს (სუპერვაიზორებს).

მომხმარებელთა თითოეული ჯგუფი უზრუნველყოფს მის მიერ დასამუშავებელი ზღაპრული რეპერტუარის დასკანერებული ტექსტების სერვერზე განთავსებას. ამ მასალის სერვერზე ატვირთვის შემდეგ თითოეულ ტექსტს ენიჭება უნიკალური ნომერი.

სადიებელში მომხმარებელთა ჯგუფის სახელის არჩევის საფუძველზე ჯგუფს შესაძლებლობა ეძლევა დაიწყოს საკუთარ მასალაზე მუშაობა.

სადიებლის შესაბამის ადგილას ტექსტის უნიკალური ნომრის შეტანა, საშუალებას იძლევა გამოვიძახოთ საჭირო ტექსტის შესახებ მონაცემები. პროგრამის მე-5 ფუნქციონალურ სექტორში წარმოდგენილი ცხრილის ჩანაწერებზე დაწკაპუნებით იხსნება ტექსტის რედაქტორი (ტაბ. 5). ეს რედაქტორი ორგანოფილბიანია, ზემოთ მოცემულია დასკანერებული ტექსტი და ქვემოთ რედაქტორი. აღნიშნული რედაქტორის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ბაზაში ტექსტის შესახებ ინფორმაციის (მათ შორისაა ზღაპრის ტიპის განმსაზღვრელი ინდექსის) შეტანა-რედაქტირება.

ტექსტის აღნიშნული სქემის შესაბამისად აღსაწერად აუცილებელია იგი (ტექსტი) გამომდებულ იქნას ATU ტიპის შემადგენელ მოტივთა შესახებ ბაზაში არსებულ ყველა სხვა ჩანაწერთან ერთად. ამისათვის ველში ID შეგვაქვს ტექსტის უნიკალური ნომერი, ველში 'Group of Users' – 'All' და ვაქტიურებთ ოფციას 'ID ± ATU Motifs'.

შედეგად მე-4 ფუნქციონალურ სექტორში ვიღებთ მოცემული ტიპის პირობებში რეალიზებული ყველა აქამდე ცნობილი მოტივისა და მათი ვარიანტების ჩამონათვალს დალაგებულს მოქმედების განვითარების მიხედვით. ჩამონათვალი ერთ სვეტში წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე, ხოლო მეორეში - ლოკალური რეპერტუარის ენაზე. მოტივის შესაბამისი წესით მარკირების შემდეგ, რაც ხორციელდება 'Edit Motif'-ზე ერჯერადი დაწკაპუნებისა და რედაქტორში შესაბამისი ნომრის შეტანის გზით, ხდება მოტივის შესაბამის ლოკალურ რეპერტუართან დაკავშირება.

იმ შემთხვევაში, თუ ტექსტში წარმოდგენილია ახალი, ორიგინალური მოტივი, რომელიც დამოუკიდებელ ფუნქციას ასრულებს მოქმედების განვითარებაში, მაშინ ხდება არსებულ რიგში მისი შეტანა. ასეთი სიახლე მოტივთა საერთო რიგში რჩება მანამ წითლად მონიშნული, ვიდრე მის მოტივთა არსებულ რიგში შეტანაზე საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს სუპერვაიზორი.

დროის განსაზღვრულ ინტერვალებში ხდება მთლანი მონაცემთა ბაზის დაცული ფაილის სახით შენახვა.

ტაბულები

Supervisor of the research group: Elguja Dadunashvili / Dadunashvili Group

Groups of Users: - All -

Origin of Repertoire: - All -

ATU:

Text ID:

Text Code:

Key Word:

Clean Search

ATU= 0001

Add a New Motif Save Motifs Order

1 Motive in the native language 1 Motive in English

ATU 0015 - ნათლის მიერ საკმლის ქურდობა ATU 0015 - The Theft of Food by Playing Godfather

Delete Motif Edit Motif

2 Motive in the native language 2 Motive in English

მელა თავს იმედგარეებს (დათვის ხორცი გაშვებული პირს გორდება ID 5780) და გზაზე წეხა The fox pretends to be dead (the fox fed up with the bear's meat rolls down ID 5780) and lies on the road

Delete Motif Edit Motif

3 Motive in the native language 3 Motive in English

მეურვეები მოდიან და ურბით ღვინო მოატეხი Ox-cart drivers are carrying wine in the cart on the road

Selected Texts Identification

ID	Code	Narrator Birth Province	Narrator Living Province	Sex	Note	ATU
5780	ბაზი გი	0	5	5		0015-0001
6633	ბაზი გი	0	0	5		0015-0001-0036
21020	ბაზი გი	0	0	5		0015-0001-0002-0041-0030

ტაბ. 1 ვებპლატფორმის საერთო სურათი. ფუნქციონალური სექტორები: 1. მართვის პანელი 2. საძიებელი 3. რეპერტუარის ტიპოლოგიური სტრუქტურის მონაცემთა ცხრილი 4. ტიპის შემადგენელ მოტივთა აღწერილობა 5. ტექსტ(ებ)ის შესახებ მონაცემთა ცხრილი.

Groups of Users: Dadunashvili Group

Origin of Repertoire: - All -

ATU:

Text ID:

Text Code:

Key Word:

Clean Search

ATU= 0300

Add a New Motif Save Motifs Order

1 Motive in the native language 1 Motive in English

ATU 0301 - სამი მოტაცებული მღვდის ასული (პირველი ნაწილი შავი ცხოველით ქვესკნელში ჩასვლამდე) ATU 0301 - The Three Stolen Princesses (part one: underworld by help of the black animal)

Delete Motif Edit Motif

2 Motive in the native language 2 Motive in English

ATU 0303 - ტყუპი ან სისხლისმეორე ძმები ATU 0303 - The Twins or Blood- Brothers

Delete Motif Edit Motif

3 Motive in the native language 3 Motive in English

ATU 0312D - ძმის გადარჩენილი (პოვნისა და გადარჩენის შემდეგ) ATU 0312D - Rescue by the Brother (from finding and resurrection)

Selected Texts Identification

ID	Code	Narrator Birth Province	Narrator Living Province	Sex	Note	ATU
42	ბა-41 გი	5	5	5		0300

ტაბ. 2 რეპერტუარის ტიპოლოგიური სტრუქტურის მონაცემთა ცხრილის ჩანაწერზე ერთჯერადი დაწკაპუნებით (ფუნქციონალური სექტორი 3) მე-4 ფუნქციონალურ სექტორში გამოჩნდება შესაბამისი ტიპის (იხ. წითელი მარკირება ზემოთ) შემადგენელ მოტივთა სია. ყვითლად მარკირებულ ცხრილის ნაწილებზე „ATU და „ATUs Count“ ორმაგი დაწკაპუნებით შესაძლებელია ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაციის სხვადასხვაგვარად სორტირება.

The screenshot shows the 'Folklore' database interface. On the left, there's a sidebar with filters like 'Groups of Users' (Dadunashvili Group), 'of Repertory' (All), and 'ATU' (0671E*). Below this is a table of 'Selected Texts Identifiers' with columns ID, Code, Narrator Birth Province, Narrator Living Province, Sex, Note, and ATU. The ID 6322 is circled in red. A dialog box 'Add a New Motif' is open, with a red circle around the 'Add a New Motif' button. The dialog box has fields for 'Description of the motif in the native language' and 'Motif description in English'.

ID	Code	Narrator Birth Province	Narrator Living Province	Sex	Note	ATU
6322	549 gv4	0	16	♂		0671E*
6714	fak11 gv68	16	16	♂	მითითებული ინდექსი ქართული ევრსია. იოსებ შვენიერი	0671E*
15647	fak138 gv170	16	16	♂		0671E*

ტაბ. 3 ATU ტიპის აღწერილობაში ახალი მოტივის შეტანა / არსებულის რედაქტირება. ღილაკი (1) ახალი მოტივის შესატანად საჭირო რედაქტორის (2) აქტივაციისათვის. რედაქტორის აქტივაციამდე საჭიროა ველში „Selected Texts Identifikators“ შეტანილი იყოს მინიმუმ ერთი ჩანაწერის საიდენტიფიკაციო ნომერი. ახლად შეტანილი მოტივი დაიკავებს სიის ბოლო ადგილს, საიდანაც მისი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოტივის გადაადგილება ხდება Drag & Drop მეთოდით.

The screenshot shows the 'Edit Text' form in the Folklore database interface. At the top, there's a browser address bar showing 'www.folktreasury.ge/Folklore/searcher.php#'. Below this is a large image of a handwritten text on aged paper, labeled with a red circle (1). Below the image is a form for editing text and metadata. The form has fields for 'ID' (23681), 'Code' (fauf002 gv22), 'Repertory' (Georgian), 'Form' (Text), 'Genre' (ღამის ზღაღარა), and 'Audio/Video' (/1/fauf002.pdf). There are also fields for 'ATU' (0682), 'Notes', and a 'Source of the Text' dropdown. The form is divided into sections for 'Informants' (Narrator, Recipient, Recorder) and 'Recording' (Date, Time, Place). The 'Add a New Motif' button is circled in red.

ტაბ. 4 მეტა და კონტენტონაცემთა რედაქტორი. (1) დასკანერებული ტექსტი (2) რედაქტორი.

ATU	ATU Count
0001	5
0002	4
0002A	1
0002D	1
0009	5
0010***	2
0015	12
0015*	2
0020C	2
0020D*	6

ტაბ. 5 „Edit Table“-ლილაკი მართვის პანელზე. იგი განსაზღვრავს ტექსტის შესახებ მონაცემთა ცხრილში არსებული ინფორმაციის სტრუქტურას (რელაციას 3-სა და 4-ს შორის). რედაქტორის გააქტიურება ხდება ლილაკზე „Edit Table“ (1) ორმაგი დაჭკაპუნებით. „Edit Table“ დასახურად ვააქტიურებთ ლილაკს „Done“ (5).

ID	Code	Narrator	Birth	Living	Sex	Note	ATU
5780	fa82 gr8	0	0	0	0	0015+0001	
6633	fa80 gr127	0	0	0	0	0015+0001+0036	
21020	fa19021	0	0	0	0	0015+0001+0002+0041+0038	

ტაბ. 6A

ტაბ. 6A სურათზე სანიმუშო ტესტგუფის სახელით განხორციელებული აღწერილობა. ტექსტის ID-ია 200002, ტიპის ნომერია ATU - 0301. მე-4 ფუნქციონალური სექტორის შუაში წარმოდგენილია მოცემული ტიპის აღწერილობის ის ნაწილი, რომელიც უკვე შეტანილია სისტემაში. მისგან მარცხნივ წარმოდგენილია იმავე მოტივების შევსებული ან ცარიელი სია (ეს უკანასკნელი მარკირებულია ყვითლად). მართვის პანელზე გააქტიურებული ჩანს ოფიცია „ID ± ATU Motifs“ რაც ნიშნავს რომ მე-4 სექტორის ინგლისურენოვან მოტივთა სიაში გამოძახებულია ამ ტიპისათვის უკვე გამოყენებული ყველა მოტივი. თუ ოფიციას გამოვრთავთ, დარჩება მხოლოდ მოცემული ტექსტში (ID 200002) რეალიზებული მოტივების სია (შდრ. ტაბ. 6B).

၇၁၁. ၆B

ტაბ. 7 მომხმარებელთა ჯგუფის მასალაში განსახორციელებელი ცვლილების რედაქტორის გააქტიურება ხდება ღილაკის „Edit Motif“ გააქტიურებით (იასამნისფერი მარკირება); ID-ის შეტანის შემდეგ (წითელი მარკირება) ხდება შესაბამისი მოტივის ტექსტთან მიმაგრება. პარალელურად შესაძლებელია განხორციელდეს ინგლისური აღწერილობის ლოკალურ ენაზე თარგმნა და შესაბამის ველში შეტანა (მწვანე მარკირება).

დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა | განხორციელდა ქართული ფოლკლორის არქივში
შოთა რუსთაველი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი | თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი
იმპრესიები: ელგუჯა დადუნაშვილი | ელ-ფოსტა: elguja.dadunashvili@uni-jena.de